საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №410

თბილისი „05“ 05 2017 წ.

სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“ - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის N01-306/ო ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 04 მაისის N467227მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, სკოლაში ჯანსაღი კვების სტანდარტების დანერგვის მიზნით

ვბრძანებ:

1. მოსწავლეების ჯანსაღი კვებითი უნარ-ჩვევების განვითარებისა და მათი საჭირო ენერგიის მარაგით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) მიზანშეწონილია სასკოლო კვების ორგანიზებისას აიკრძალოს შემდეგი პროდუქტების გამოყენება:

ა.ა) საღეჭი რეზინი, კანფეტები, შოკოლადი, არომატიზებული წასახემსებლები (მაგ. ჩიფსები, ჟელიბონი და ა. შ.), გარდა თხილეულის, ხილისა და ბოსტნეულის, რომელთაც აქვთ დამატებული მარილი, შაქარი ან ცხიმი;

ა.ბ) მაიონეზით შეზავებული პროდუქცია;

ა.გ) სოკო ნებისმიერი ფორმით;

ა.დ) დაკონსერვებული პროდუქტები;

ა.ე) კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი;

ა.ვ) გაზიანი სასმელები, გარდა გაზიანი მინერალური წყლისა;

ა.ზ) თერმულად დაუმუშავებელი კვერცხი.

ბ) მიზანშეწონილია სასკოლო კვების ორგანიზებისას გამოყენებულ იქნეს:

ბ.ა) შემდეგი სასმელები: წყალი; ხილის წვენი; ხილის კომპოტი; კისელი; ფერმენტირებული რძის სასმელი (იოგურტი); ხილის წვენითა და დაბალცხიმიანი რძით ან იოგურტით დამზადებული სასმელები (სასურველია გამდიდრებული კალციუმით); ჩაი და კაკაო.

ბ.ბ) ხილი და ბოსტნეული.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი საჯარო სკოლებში დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მონიტორინგისა და კოორდინაციის სამმართველოს, საჯარო სკოლის დირექციასთან ერთად.

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

---------- 04/05/2017 /ანი ნაჩხატაშვილი/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

04.05.2017 ---------- /ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელთან

04.05.2017. ---------- /გიორგი შეშაბერიძე/

ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) შტატგარეშე მოსამსახურესთან (პროექტის მენეჯერი)

---------- /მაია მუშკუდიანი/

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

---------- /ნინო ნანიკაშვილი/

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

---------- /ქეთევან გრიგოლია/

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელთან

04.05.2017. ---------- /მამუკა ბერიძე/

მინისტრის მოადგილესთან

---------- /ლია გიგაური/

მინისტრის მოადგილესთან

---------- /თეიმურაზ მურღულია/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს;
2. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
3. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
4. ადმინისტრაციას (დეპარტამენტს);
5. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.